

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული სტომატოლოგი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მანანა უსტიაშვილი



2021

შინაარსი

ძირითადი მონაცემები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
პრეამბულა.....	4
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	4
პროგრამის ძირითადი მახასიათებლები	5
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:.....	6
სწავლის შედეგები	6
ცოდნა და გაცნობიერება:.....	7
კურსდამთავრებულს აქვს ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, პრეკლინიკური, კლინიკური და სტომატოლოგიური მეცნიერებების ფუნდამენტური პრინციპების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა (პშ 1):.....	7
უნარები	7
2.1. სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა (პშ 2):.....	7
2.2. პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს დაავადებების კლინიკური შემთხვევების შეფასება, დაავადებ(ებ)ის მართვის შესახებ მსჯელობა (პშ 3).....	7
2.3. გადაუდებელი სტომატოლოგიური დახმარება (კომპეტენციის ფარგლებში) (პშ 4)	7
2.4. სტომატოლოგიური მასალების, საშუალებების და ინსტრუმენტების შერჩევა (პშ 5).....	8
2.5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება (კომპეტენციის ფარგლებში) (პშ 6):	8
2.6. სტომატოლოგიურ პაციენტთან კომუნიკაცია (პშ 7).....	8
2.7. სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება (პშ 8).....	9
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.....	9
3.1. პროფესიულ მოვალეობების შესრულება ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით, პაციენტის უფლებების დაცვა და მისი ინფორმირებულობისა და კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფა (პშ 9);	9
3.2. არასტანდარტულ გარემოში ადაპტირება, დარგში არსებული სიახლეების შესწავლის და პრაქტიკაში გამოყენების პროცესის წარმართვა, დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების უზრუნველყოფა (პშ10).....	9
პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა	10
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	11
სწავლა-სწავლების მეთოდები.....	11
შეფასების მეთოდები.....	12

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი	13
სტომატოლოგიის პროგრამის სტრუქტურა	14
კურსის კოორდინატორთა ინსტიტუტი	17
ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სისტემა	17
სწავლებისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები	18
ადამიანური რესურსი.....	18
სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა	19
სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.....	19
პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა	20

ძირითადი მონაცემები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	დიპლომირებული სტომატოლოგი
სწავლის ხანგრძლივობა	5 წელი
პროგრამის მოცულობა	300 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი = 30 საათი)
სწავლების ენა	ინგლისური
სწავლების საფასური	7000 აშშ დოლარი

პრეამბულა

სტომატოლოგია ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მისი მიზანი პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს ჯანმრთელობის დაცვაა, რაც ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს. აღნიშნული კი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლებით მიიღწევა. პროგრამა ეფუძნება სამედიცინო განათლებაში ხარისხის უმაღლესი სტანდარტების შესახებ თანამედროვე გაგებას. მედიცინის ფუნდამენტური და სტომატოლოგიური კლინიკური პრინციპების გარდა, პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა მომავალი სტომატოლოგების ეთიკური და პროფესიონალური ფასეულობების მდგრადი განვითარება პროგრამის განმავლობაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მქონე პირი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კოეფიციენტებისა და საგნობრივი მინიმალური ბარიერის გათვალისწინებით. საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარიერი ინგლისურ ენაში 80%-ია, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკასა და მათემატიკაში - 70%.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ - მუხლი 52. პუნქტი 3. კერძოდ:

აბიტურიენტების და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხვა დასაშვებია შემდეგი პირებისათვის:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამის ძირითადი მახასიათებლები

- ✓ პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს კურსდამთავრებულის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხარისხს;
- ✓ პროგრამა მოიცავს ინტეგრირების ელემენტებს, რაც გამოხატება დისციპლინების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციით.
- ✓ პროგრამის პროფილური კომპონენტი სპირალური განვითარებით ხასიათდება: თეორიული, გაცნობით ხასიათის კურსებიდან პრაქტიკული კომპონენტის დამოუკიდებლად შესრულებამდე (კომპეტენციის ფარგლებში და ზედამხედველობით)
- ✓ სტომატოლოგიური სასწავლო კურსების მოცულობა და შინაარსობრივი სიღრმე თანდათობით იზრდება;
- ✓ პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტში სამეცნიერო კვლევის უნარების გამომუშავებას.
- ✓ სტუდენტის კლინიკური უნარების, სამედიცინო ეთიკისა და პროფესიონალიზმის განვითარებას პრეკლინიკურ ეტაპზე უზრუნველყოფს სასწავლო კურსი „პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“
- ✓ პროგრამა სწავლა-სწავლებისა და შეფასებისათვის იყენებს თანამედროვე მეთოდებს, როგორც PBL CBL, CBCR (სწავლა-სწავლების მეთოდებიდან), ასევე OSPE, OSCE, გამოცდა სიმულაციური პაციენტის მონაწილეობით (შეფასების მეთოდებიდან).
- ✓ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, პირველ რიგში, სტუდენტის პროფესიონალად ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ მიზნით დიდი აქცენტი კეთდება ფორმაციულ შეფასებაზე როგორც თითოეულ სასწავლო კურსში, ასევე ზოგადად, პროგრამაში: კურსის კოორდინატორების მხარდაჭერის გარდა, პროგრამაში დაინერგა სტუდენტის პორტოლიო, სადაც მიღწევების აღრიცხვა მისი განვითარებისათვის ხდება პორტფოლიოს მეშვეობით.
- ✓ სტუდენტისათვის ძლიერი და სტრუქტურირებული მხარდაჭერის სისტემა: თითოეულ კურსს ჰყავს კოორდინატორი, რომელიც სტუდენტს სწავლების სრული კურსის განმავლობაში ეხმარება აკადემიურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, უწევს კონსულტაციებს კარიერული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით და სხვ.

- ✓ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ექსტრაკურიკულუმური აქტივობების განხორციელება პროგრამის სტუდენტების წასახალისებლად, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამ პროექტების ძირითადი მიზანი იქნება კვსუ-ის სტუდენტებისთვის სხვადასხვა ქვეყნის სამედიცინო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გაცნობა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სტომატოლოგიის პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგი, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარები, რომელთა საფუძველზე დიპლომირებული სტომატოლოგი, შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში შეძლებს სამუშაო პოზიციის დაკავებას სტომატოლოგიურ კლინიკებში, სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების და/ან პროფესიული დახელოვნების შემდეგ საფეხურზე (რეზიდენტურა, დოქტორანტურა) და სპეციალიზაციას, ასევე, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში რეალიზაციას და კარიერულ წინსვლას.

პროგრამის მიზნები, უფრო დეტალურად, გულისხმობს სტუდენტის მომზადებას, რომელსაც შეუძლია:

- ბიოსამედიცინო დისციპლინების, კლინიკური მეცნიერებებისა და სამედიცინო დარგის ფუნდამენტური ცოდნის გამოყენება და კრიტიკული გააზრება პაციენტზე მაღალხარისხიანი ზრუნვის პროცესში დენტალური მედიცინის/სტომატოლოგიის პროფილურ საკითხებთან მიმართებაში;
- სტომატოლოგიური პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემათა დროული, შესაბამისი და ეფექტური დიაგნოსტიკა;
- სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის შესაბამისი ზომების ეფექტურად მიღება;
- სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა, მართვა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვით;
- სტომატოლოგიურ პაციენტთან ეფექტური და პროფესიონალური კომუნიკაცია;
- მაღალპროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში თვითგანვითარება.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს, არსებული რესურსების ფარგლებში მიღწევადი და რეალისტურია. სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების შესაბამისად და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა- ავტონომიურობას:

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსდამთავრებულს აქვს ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, პრეკლინიკური, კლინიკური და სტომატოლოგიური მეცნიერებების ფუნდამენტური პრინციპების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა (პშ 1):

- ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესების ცოდნა ნორმისა და პათოლოგიის ფარგლებში; უჯრედის, ქსოვილების, ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების სტრუქტურული ორგანიზაციისა და განვითარების მექანიზმების აღწერა.
- ზოგადი და სტომატოლოგიური დაავადებების (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ბავშვთა ასაკის) სახეების ცოდნა, მათ განვითარებასა და კლინიკურ მიმდინარეობაზე მსჯელობა, დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრა.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-ფუნქციური სისტემის აღწერა, ექიმის როლის განსაზღვრა ამ სისტემაში მისი საქმიანობის ეთიკურ და სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით.
- ქცევითი და სოციალური მეცნიერებების აქტუალურ საკითხების მიმოხილვა პრაქტიკასთან კავშირში.

უნარები

2.1. სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა (პშ 2):

ანამნეზის შეკრების უნარი, სადიაგნოსტიკო საშუალებებისა და მეთოდების ცოდნა და გამოყენება, პაციენტთან სწორი კომუნიკაცია, პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ობიექტური დათვალიერება და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევებით მიღებული შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია, დაავადების სწორი მართვის დაგეგმვა, მსგავსი კლინიკური ნიშნებისა და ობიექტური მონაცემების მქონე პათოლოგიების დიფერენციული დიაგნოსტიკა. სტომატოლოგიური პაციენტის მდგომარეობის კომპლექსური შეფასება და ადექვატური მკურნალობის საჭიროების განსაზღვრა;

2.2. პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს დაავადებების კლინიკური შემთხვევების შეფასება, დაავადებ(ებ)ის მართვის შესახებ მსჯელობა (პშ 3)

- პაციენტის პრობლემის ანალიზით კლინიკური პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის დემონსტრირება, დარგობრივი პრობლემის (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული) იდენტიფიცირება და დაავადებათა მართვის სქემის შემუშავება. პაციენტის ასაკისა და პრობლემისადმი დიფერენცირებული მიდგომის გამოხატვა.

2.3. გადაუდებელი სტომატოლოგიური დახმარება (კომპეტენციის ფარგლებში) (პშ 4)

- პირველადი გადაუდებელი დახმარება პულპისა და პერიოდონტის მწვავე და

- ქრონიკული გამწვავებული დაავადებების დროს ბავშვებსა და მოზრდილებში;
- პირველადი დახმარება სარძევე და მუდმივი კბილების ტრავმის დროს;
- პირველადი დახმარება ორთოპედიული კონსტრუქციების დაზიანების დროს;
- პირველადი სამედიცინო დახმარება პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოში ჭრილობების არსებობის დროს;
- პირველადი დახმარების გაწევა სტომატოლოგიურ კაბინეტში ურგენტული სიტუაციების (გულის წასვლა, კოლაფსი, ჰიპერტონიული კრიზი, მედიკამენტური ალერგია) ჩამოყალიბების დროს.

2.4. სტომატოლოგიური მასალების, საშუალებების და ინსტრუმენტების შერჩევა (პშ 5)

- საანესთეზიო, პირის ღრუს საიზოლაციო, საბჟენ-სარესტავრაციო, ენდოდონტიური, პაროდონტოლოგიური, საანაბეჭდო, ორთოპედიული კონსტრუქციების დასამზადებელი, კბილთა საექსტრაქციო, ჭრილობის დასამუშავებელი, საკერავი და სხვა.

2.5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება (კომპეტენციის ფარგლებში) (პშ 6):

- კარიესის პრევენციისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა და კბილთა ფისურების ჰერმეტიზაცია;
- კარიესის დიაგნოსტიკა და კბილთა დაბჟენა,
- კბილთა ენდოდონტიური მკურნალობის პროცესში ვიტალური ტესტების გამოყენება და აპექსლოკაცია;
- ენდოდონტიური მკურნალობის ჩატარება და კბილის ფესვის არხების დაბჟენა;
- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დიფერენციაცია და პირველადი დახმარების გაწევა;
- აპლიკაციური, ინფილტრაციული და რეგიონული ანესთეზიების ჩატარება;
- კბილთა ექსტრაქციების ჩვენებების განსაზღვრა და მარტივი ექსტრაქციების ჩატარება;
- პირის ღრუში ჭრილობის დამუშავება და ნაკერის დადება;
- საანაბეჭდო მასების მომზადება და ანაბეჭდის აღება;
- უკბილო ზედა და ქვედა ყბებიდან ანატომიური და ფუნქციური ანაბეჭდების აღება;
- ზედა და ქვედა მთლიანი მოსახსნელი პროთეზების მორგება;
- სრული ადენტიის დროს ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა;
- პაროდონტის დაავადებათა ორთოპედიული მეთოდებით მკურნალობის პრინციპების განსაზღვრა, პაროდონტიტის მკურნალობის მიზნით შერჩევითი მოქლიბვის ჩატარება;
- მავთულოვანი არტაშნის დამზადება;
- დენტალური იმპლანტაციის შემდგომი პროთეზირებისათვის კონსტრუქციის შერჩევა;

2.6. სტომატოლოგიურ პაციენტთან კომუნიკაცია (პშ 7)

- პაციენტთან და მის ახლობლებთან, ასევე კოლეგებთან, დამოუკიდებელი კომუნიკაცია; საკუთარი აზრის გამოხატვა, საპირისპირო აზრის მოსმენა, პაციენტისთვის უსიამოვნო ინფორმაციის მიწოდება, საჭიროებისამებრ – მისი დამშვიდება.
- რთულ სიტუაციებში გამოსავლის პოვნა და პაციენტთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანამშრომლობა.

- სათანადო კომუნიკაციური უნარების ფლობის საფუძველზე პაციენტისგან (მისი მშობლის ან მეურვე პირისგან) ინფორმირებული თანხმობის მიღება სამედიცინო პრობლემების გადაწყვეტისა და ამ საქმეში ერთობლივი კოოპერაციის შესახებ.

2.7. სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება (პშ 8)

- ადამიანის პირის ღრუსა, და, ზოგადად, ორგანიზმის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ეთიკური პრინციპების დაცვით;
- პაციენტის უფლებებისა და ღირსების დაცვა;
- სტომატოლოგიური მანიპულაციებისა და მკურნალობის ჩატარების გადაწყვეტილების მიღებაში პაციენტისთვის განმარტებების მიცემა;
- სტომატოლოგიური გამოკვლევებისა და მკურნალობის ჩატარების თაობაზე ინფორმირებული თანხმობის მიღება;
- პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

3.1. პროფესიულ მოვალეობების შესრულება ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით, პაციენტის უფლებების დაცვა და მისი ინფორმირებულობისა და კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფა (პშ 9);

3.2. არასტანდარტულ გარემოში ადაპტირება, დარგში არსებული სიახლეების შესწავლის და პრაქტიკაში გამოყენების პროცესის წარმართვა, დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების უზრუნველყოფა (პშ10).

პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის შედეგები	1	2	3	4	5	6
		ბიოსამედიცინო დისციპლინების, კლინიკური მეცნიერებებისა და სამედიცინო დარგის ფუნდამენტური ცოდნის გამოყენება და კრიტიკული გააზრება პაციენტზე მაღალხარისხიანი ზრუნვის პროცესში დენტალური მედიცინის/სტომატოლოგიის პროფესიულ საკითხებთან	სტომატოლოგიური პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემათა დროული, შესაბამისი და ეფექტური დიაგნოსტიკა;	სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის შესაბამისი ზომების ეფექტურად მიღება;	სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა, მართვა და ჯანმრთელობის ხელშეწყობა პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვით;	სტომატოლოგიურ პაციენტთან ეფექტური და პროფესიონალური კომუნიკაცია;	მაღალპროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში თვითგანვითარება.
პშ 1	აქვს ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, პრეკლინიკური, კლინიკური და სტომატოლოგიური მეცნიერებების ფუნდამენტური პრინციპების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა	✓	✓	✓	✓	✓	✓
პშ 2	სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა	✓	✓	✓		✓	
პშ 3	პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს დაავადებების კლინიკური შემთხვევების შეფასება, დაავადებების მართვის შესახებ მსჯელობა	✓	✓		✓	✓	
პშ 4	გადაუდებელი სტომატოლოგიური დახმარება	✓	✓	✓			
პშ 5	სტომატოლოგიური მასალების, საშუალებების და ინსტრუმენტების შერჩევა	✓	✓		✓	✓	
პშ 6	პრაქტიკული პროცედურების ჩატარება	✓	✓				✓
პშ 7	სტომატოლოგიურ პაციენტთან კომუნიკაცია		✓	✓	✓	✓	
პშ 8	სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება		✓	✓	✓		✓
პშ 9	კურსდამთავრებული ასრულებს პროფესიულ მოვალეობებს ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით, იცავს პაციენტის უფლებებს და უზრუნველყოფს	✓	✓			✓	✓

	პაციენტის ინფორმირებულობასა და კონფიდენციალობას.						
პმ 10	წარმართავს არასტანდარტულ გარემოში ადაპტირების, დარგში არსებული სიახლეების შესწავლის და პრაქტიკაში გამოყენების პროცესს, უზრუნველყოფს დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.	✓	✓	✓	✓	✓	✓

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლა-სწავლების მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული სწავლების მიზნების, ამოცანებისა და შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება თეორიული და პრაქტიკული (მათ შორის კურაციული) მეცადინეობების ციკლი. აკადემიური ცოდნის მიღების პროცესში, თეორიული საკითხების ათვისებას მომავალი სტომატოლოგი მეტწილად დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილ დროში ახდენს, ხოლო საკონტაქტო საათები სემინარულ მეცადინეობებს, სიმულაციურ გარემოში მუშაობას, სტომატოლოგიურ დანადგარებთან სწავლებას და როლურ თამაშებს ეთმობა.

დეპარტამენტების სტომატოლოგიურ სავარძლებზე პროფესორის ან მოწვეული მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტების მიღების გარდა, კლინიკაში სწავლის საწყის ეტაპზევე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ საფანტომო კლასებში, სტომატოლოგიურ ფანტომ-მულაჟებზე შეისწავლონ სხვადასხვა კლინიკური მანიპულაცია და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

სწავლა- სწავლების ძირითადი ტექნიკები, მეთოდები და აქტივობები:

სწავლებისას გამოყენებული ძირითადი სტრატეგიებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ.

ძირითადი აქტივობებია: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, წერიტი მუშაობა; ლაბორატორიული სწავლება, როლური თამაშები, სიმულაციური სწავლება, კლინიკურ გარემოში სწავლებას (bedside teaching) და სხვ.

გარდა ამისა, პროგრამაში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები: „შებრუნებული საკლასო ოთახის“ მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBCR) და სხვ.

პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისება ხდება ფანტომ-მულაჟებზე, სიმულატორებზე, ასევე სიმულირებულ პაციენტზე, წავლების ბოლო წლებში კი - პაციენტთან უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ (კომპეტენციის ფარგლებში).


პროგრამა აგებულია ლოგიკურად. მასში შემავალი კომპონენტები სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია. თითოეული მათგანი ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს, მეორე მხრივ, წარმოადგენს წინაპირობას "მემკვიდრე" კომპონენტის/კურსის

ათვისებისათვის.

დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა საბაზისო და პრეკლინიკური დისციპლინის წარმატებული შესწავლა აუცილებელია კლინიკური, მათ შორის და უპირველესად – მაპროფილებელი სასწავლო კურსებისათვის.

შეფასების მეთოდები

პროგრამაში სტუდენტთა უნარ-ჩვევების და შედეგების შეფასება მიღერის პირამიდის კონცეფციას ემყარება: პირამიდის ყველაზე დაბალ დონეზე არის ცოდნა - „იცის“, რომელსაც მოსდევს გაფართოებული და გაღმავებული გრადაციები - „იცის როგორ“, „აჩვენებს როგორ“ და „აკეთებს“.



სურ. 1 პროგრამით სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და პროფესიონალიზმის მიღწევის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები

შეფასების მეთოდების ფართო სპექტრი გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო კურსებში მიღერის პირამიდის დონეების მიხედვით: ზეპირი გამოკითხვა, ესეს ტიპის კითხვები, მოდიფიცირებული ესეების კითხვების ჩეკლისტები (MEQs), MCQs (სავარაუდოპასუხებიანი კითხვები), EMQ (ვრცელი შესაბამისობის დამდგენი ფორმატის), სტუდენტების პრეზენტაციები, პროექტები, სამეცნიერო სტატიები, შეფასების შკალები, პაციენტების ისტორიები, OSPE, OSCE, შემთხვევის მოკლე შეფასება და შემთხვევის ვრცელი/სიღრმისეული შეფასება, ჟურნალი/დღიური, სტანდარტიზებული პაციენტები და ა.შ. პრეკლინიკური ეტაპის დასრულებისას სწავლის შედეგების შეფასება ხდება არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპონენტშიც.

უკუკავშირი - სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მათი განვითარებისა და პროგრესის შესახებ. უკუკავშირი ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ასევე შემაჯამებელი შეფასებების შემდეგ. მცირე ჯგუფის კოორდინატორებისგან მიერ მთელი პროგრამის მანძილზე

მიიღება ინდივიდუალური უკუკავშირი, თუმცა კლინიკურ ეტაპზე იგი მეტ დატვირთვას იძენს: კურსის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს კურსის მიმდინარეობისას და მასთან ერთად სახავს აღმოჩენილი „სისუსტეების“ განვითარების გზებს. კურსის დასრულების შემდეგ, კურსის ხელმძღვანელმა სტუდენტის შესახებ ინფორმაცია უნდა ასახოს სტუდენტის პორტფოლიოში, სადაც გარდა სტუდენტის აკადემიური მიღწევებისა, მისი პროფესიონალიზმის შეფასებაც ხდება. პროგრამის დასრულებისას კურსის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნა სტუდენტის მიღწევების შეფასების დოკუმენტის ნაწილი ხდება. კონკრეტული მიღწევის შესახებ უკუკავშირი ხელს უწყობს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, როგორც სტუდენტებში, ასევე სასწავლო გეგმაში, რაც საბოლოოდ ცვლილებების განხორციელების საშუალებას იძლევა.

ზემოთ ჩამოთვლილი შეფასების მეთოდების უმეტესობა გამოიყენება განმავითარებელი შეფასებისთვის, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება ცოდნისა და უნარების განვითარებაში.

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/აღიარებას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას.

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას (ერთი კრედიტი 30 საათის ტოლია), რაც საჭიროა კონკრეტული სასწავლო კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სასწავლო კურსი (საგანი/მოდული.კლერკშიფი) არის ერთსემესტრიანი. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით საგამოცდო შეფასებას: ჯამში მაქსიმუმ 100 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 30 ქულა. კრედიტის მისაღებად საბოლოო შეფასება არ უნდა იყოს 51–ზე ნაკლები. გამოცდაზე სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 24 ქულას 40 – დან. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით (A, B, C, D, E) და ორი სახის (FX და F) უარყოფით შეფასებას.

A) ფრიადი - 91-100 ქულა;

B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

C) კარგი - 71-80 ქულა;

D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

E) საკმარისი - 51-60 ქულა;

FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა; სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება

F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები; სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით გამოცდაზე გავიდეს დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტომატოლოგიის პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 5 აკადემიური წელი - 10 სემესტრი, პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს. სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა წელიწადში 60 კრედიტია, (შესაძლებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა ნაკლები იყოს ან აღემატებოდეს 60 კრედიტს წელიწადში -თუმცა არაუმეტეს, 75 კრედიტისა).

პროგრამა აგებულია ლოგიკურად. მასში შემავალი კომპონენტები სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია. თითოეული მათგანი ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს, მეორე მხრივ, წარმოადგენს წინაპირობას "მემკვიდრე" კომპონენტის/კურსის ათვისებისათვის.

პროგრამის სასწავლო კურსები/მოდულები/კურაციები რამდენიმე მსხვილ კომპონენტადაა წარმოდგენილი და ემსახურება როგორც ზოგადტრანსფერული, ისე დარგობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას:

- ზოგადტრანსფერული კომპონენტი
- ფუნდამენტური მეცნიერებების კომპონენტი
- საბაზისო მედიცინის კომპონენტი (ნაწილი ინტეგრირებული მოდულებითაა წარმოდგენილი)
- კლინიკური მედიცინის კომპონენტი
- სტომატოლოგიური კომპონენტი
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კომპონენტი

პროგრამა პირობითად მოიცავს ორ ძირითად ეტაპს:

I ეტაპი- პრეკლინიკური -ამ ეტაპის მიზანია, სტუდენტს მისცეს ფუნდამენტური სამედიცინო განათლება როგორც ჯანმრთელი ადამიანის, ისე ადამიანის დაავადებების საფუძვლების შესახებ.

ამ ეტაპზე პროგრამაში ინტეგრაციის ელემენტები როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური სახით არის წარმოდგენილი: მოდულებში გაერთიანებულია მომიჯნავე სასწავლო კურსები თემატიკის მიხედვით, და ამავე დროს იწყება სტუდენტის კლინიკური უნარების განვითარება. კურსის „პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ ფარგლებში სტუდენტები ჩართული არიან მცირე დისკუსიებში პროფესიონალიზმის, ეთიკის, კომუნიკაციის, კულტურული თავისებურებების, საექიმო უნარ-ჩვევების შესახებ, რასაც ემატება პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომის საკითხებზე მსჯელობა.

აღნიშნული კურსი მესამე წლის ბოლოსთვის აჯამებს ყველა მნიშვნელოვან კლინიკურ უნარ-ჩვევას, რომელიც აუცილებელია კლინიკური ეტაპის დაწყებისთვის.

ამავე ეტაპზე ხდება ჯგუფის წევრებთან და კურსის კოორდინატორთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბება.

II ეტაპი- კლინიკური ეტაპი - უზრუნველყოფს სტუდენტების პრეკლინიკურ ეტაპზე მიღებული ცოდნის გამოყენებას და ჰორიზონტის მნიშვნელოვან გაფართოებას კლინიკური თვალსაზრისით.

ამ ეტაპზე სტომატოლოგიური სპეციალობები ისწავლება მულტიდისციპლინური მიდგომის გათვალისწინებით ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული ბავშვთა და მოზრდილთა

მოდულების სახით: ოდონტოლოგია, პერიოდონტოლოგია, ენდოდონტია, პროსტოდონტია, პირის ღრუს ქირურგია, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია, ყბა-სახის ქირურგია, გადაუდებელი დახმარება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში.

გარდა ამისა, სტომატოლოგიური პროფილური კურსების პარალელურად სტუდენტები ეცნობიან ზოგადსამედიცინო კლინიკურ კურსებსაც: შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, ოფთალმოლოგია, ნევროლოგია, ინფექციური დაავადებები, რადიოლოგია, ონკოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპებს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება არ ხდება, რადგან პრეკლინიკურ ეტაპზე ხდება სტუდენტის მომზადება კლინიკური ეტაპისათვის. მნიშვნელოვანია, რომ პროფილური სტომატოლოგიური კურსებისათვის მზადება სპირალური ხასიათი აქვს: სწავლება გაცნობითი თეორიული კურსიდან (მაგ. სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენცია) სიმულაციური ლაბორატორიისა (სიმულაციური ლაბორატორია - ოდონტოლოგია) და შემდეგ - პროპედევტიკის კურსების (ოდონტოლოგიის პროპედევტიკა) გავლით ოდონტოლოგიის პრაქტიკული კურსით ბოლოვდება სწავლების ნოლო სემესტრში. ბუნებრივია, სტუდენტის მომზადებასთან ერთად მისი დამოუკიდებლობის არეალი და ხარისხი იზრდება.

		სიმესტრი 1																				სიმესტრი 2																							
		კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4	კურსი 5	კურსი 6	კურსი 7	კურსი 8	კურსი 9	კურსი 10	კურსი 11	კურსი 12	კურსი 13	კურსი 14	კურსი 15	კურსი 16	კურსი 17	კურსი 18	კურსი 19	კურსი 20	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4	კურსი 5	კურსი 6	კურსი 7	კურსი 8	კურსი 9	კურსი 10	კურსი 11	კურსი 12	კურსი 13	კურსი 14	კურსი 15	კურსი 16	კურსი 17	კურსი 18	კურსი 19	კურსი 20				
კურსი 1	ორგანული ქიმია																		საგამოცდო პერიოდი	მოდული: გენეტიკა და ევოლუცია 2 (სამედიცინო გენეტიკა)																									
	სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა																			სხეულის სისტემები 2 - სტრუქტურა, ფუნქცია და რეგულაცია (ანატომია, ფიზიოლოგია)																									
	სხეულის სისტემები 1 - სტრუქტურა და ფუნქცია (ანატომია, ფიზიოლოგია)																			კერძო ჰისტოლოგია და ემბრიოლოგიის საფუძვლები																									
	ციტოლოგია და ზოგადი ჰისტოლოგია																			ბიოქიმია																									
	მოდული: გენეტიკა და ევოლუცია 1 (უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია)																			ფსიქოლოგია																									
	თანამედროვე ტენდენციები სტომატოლოგიაში																			მოდული: ჩასახვიდან სიკვდილამდე																									
	სამედიცინო ანთროპოლოგია																			აპოკალიფსი																									
	პაციენტი, იქიმი და საზოგადოება 1																			პაციენტი, იქიმი და საზოგადოება 2																									
	უცხოური ენა 1																			უცხოური ენა 2																									
																		არჩევითი 1																											
კურსი 2	თავისა და კისრის კლინიკური ანატომია																		საგამოცდო პერიოდი	პათოლოგია 2																									
	პათოლოგია 1																			ფარმაკოლოგია 2																									
	ფარმაკოლოგია 1																			საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძვლები																									
	მოდული: მიკრობიოლოგია და შესავალი ინფექციურ დაავადებებში																			სიმულაციური ლაბორატორია: ორთოპედიული სტომატოლოგია (ფიქსირებული პროთეზები)																									
	სამედიცინო კვლევის საფუძვლები																			სიმულაციური ლაბორატორია: სტომატოლოგიური დაავადებათა პრევენცია																									
	სტომატოლოგიური დაავადებათა პრევენცია																			სიმულაციური ლაბორატორია: სტომატოლოგიური დაავადებათა პრევენცია																									
	სტომატოლოგიური მასალები																			სიმულაციური ლაბორატორია: სტომატოლოგიური დაავადებათა პრევენცია																									
	პაციენტი, იქიმი და საზოგადოება 3																			სიმულაციური ლაბორატორია: სტომატოლოგიური დაავადებათა პრევენცია																									
	უცხოური ენა 3																			პაციენტი, იქიმი და საზოგადოება 4																									
																		უცხოური ენა 4																											
კურსი 3	მედიცინისა და დიაგნოსტიკის პრინციპები				ქირურგიული დაავადებების საფუძვლები				პედიატრია				პაროდონტოლოგიის პროპედევტიკა						საგამოცდო პერიოდი	ოდონტოლოგია				ბავშვთა და მოზარდთა ოდონტოლოგია				ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა 1				პირის ღრუს ქირურგიის საფუძვლები				ოფთალმოლოგია									
	ეპიდემიოლოგია / ბიოსტატისტიკა																				ნევროლოგია				რადიოლოგია																				
	სიმულაციური ლაბორატორია: ორთოპედიული სტომატოლოგია (მოსახსნელი პროთეზები)																				ინფექციური დაავადებები																								
	სიმულაციური ლაბორატორია: ენდოდონტია																																												
კურსი 4	ენდოდონტიის პროპედევტიკა		ბავშვთა და მოზარდთა ენდოდონტიის პროპედევტიკა		ბავშვთა და მოზარდთა პირის ღრუს პროპედევტიკა		ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა		პაროდონტოლოგია				ონკოლოგია				საგამოცდო პერიოდი	შესავალი ყბა-სახის ქირურგიაში		კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია		პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები				ორთოდონტია 1		ყელ-ყურცხვირის დაავადებები		ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია															
	არჩევითი 3																				არჩევითი 4																								
კურსი 5	პაროდონტოლოგია და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები				ყბა-სახის ქირურგია				კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია 2				ორთოდონტია 2				სასამართლო მედიცინა				იმპლანტოლოგია				საგამოცდო პერიოდი	ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგია		თავისა და კისრის ონკოლოგია		კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია და ენდოდონტიაში				კლინიკური პრაქტიკა პაროდონტოლოგია და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებში				კლინიკური პრაქტიკა ორთოდონტიაში				კლინიკური პრაქტიკა ორთოპედიიაში			
	გადუღებული დახმარება / გადუღებული სიტყვების მართვა სტომატოლოგიაში																				არჩევითი 6																								
	ლიდერობა ჯანდაცვის სისტემაში																				პაციენტი, ექიმი და საზოგადოება 5																								
	არჩევითი 5																																												

კურსის კოორდინატორთა ინსტიტუტი

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით, კურსის კოორდინატორის ზედამხედველობისა და მხარდაჭერის სფეროში არაუმეტეს 50 სტუდენტია. სემესტრში ორჯერ თითოეულ სტუდენტთან ტარდება გეგმიური ინდივიდუალური შეხვედრა, ხოლო სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში კოორდინატორთან შეხვედრის ინიცირება თავად მრავალჯერადად შეუძლია.

კურსის კოორდინატორთა ინსტიტუტის არსებობა არის ერთ-ერთი დამატებითი ინსტრუმენტი სტუდენტების მხარდაჭერისთვის და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად. კოორდინატორები ჩართული არიან „ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“ კურსის განხორციელებაშიც. კოორდინატორთა ინსტიტუტის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში. კოორდინატორების მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ასევე, სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა.

კურსის „ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“ ფორმატში კოორდინატორი სტუდენტებს ინსტრუქტაჟს უწევს პროფესიონალიზმსა და პაციენტის მოვლის ხელოვნებაში, პაციენტებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებასა და ფიზიკური გამოკვლევისა და დიაგნოსტიკური აზროვნების პრინციპების ჩამოყალიბებაში.

ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სისტემა

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის განვითარების ერთიანი კონცეფცია; მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა), რომელიც წარმოდგენილია კვსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელით, ხარისხის საუნივერსიტეტო ჯგუფით. ხარისხის განვითარების პოლიტიკის განხორციელებაზე ანგარიშვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულად იზიარებს ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის ციკლურ მიდგომას, რომელიც მოვჰარტის ციკლის სახელწოდებითაა ცნობილი (PDCA):

- დაგეგმე (Plan=P)
- განახორციელე (Do=D)
- შეამოწმე (Check=C)
- იმოქმედე (Act=A)

ეს მოდელი ყველაზე მეტად შეესაბამება უნივერსიტეტში ხარისხის უწყვეტი განვითარების კონტექსტს: ციკლის ერთი ბრუნის დასრულება მეორის, ახლის დაწყებას, ნიშნავს და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის პერსონალთან, სტრუქტურულ ერთეულებთან და სტუდენტებთან. მის მიერ შემუშავებული კრიტერიუმები საჯაროა და განთავსებულია კვსუ-ის ვებ-გვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რუბრიკაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგები და შეფასებები აკადემიურ საბჭოს წარედგინება, შინაარსის და საჭიროების მიხედვით - განთავსდება ვებ-გვერდზე.

შეფასების პროცესში გამოყენებულია შიდა და გარე შეფასების ფორმები. ორივე შემთხვევაში გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი.

გარდა ზოგადსაუნივერსიტეტო მიდგომისა, პროგრამაში რეგულარულად ხორციელდება სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მოდულების დაგეგმვის, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შეფასების და არგუმენტირებული ცვლილებების რეკომენდების მიზნით.

პროგრამის როგორც შინაარსობრივ, ისე ხარისხობრივ ანალიზში მონაწილეობას იღებს და აქტიურად არის ჩართული ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

სწავლებისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები

ადამიანური რესურსი

სტომატოლოგიის პროგრამის განხორციელება ხდება კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. ამასთან, პროგრამის განხორციელების პროცესში დიდი როლი აქვთ სხვადასხვა ქვეყნიდან (ძირითადად აშშ-დან) მოწვეულ პროფესორებს.

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება.

პროგრამის განხორციელებაში, კვსუ-ის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული ამერიკელი კოლეგები. ეს ეხება როგორც სასწავლო კურსების განხორციელებაში უშუალო მონაწილეობას, ასევე ზოგადად, პროგრამის დაგეგმვასა და, განსაკუთრებით, პერსონალის პროფესიულ გადამზადებაში ჩართულობას. დღეისათვის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 უცხოელი (ყველა აშშ-ის მოქალაქე) პედაგოგი და მოწვეული პროფესორი. აღსანიშნავია, რომ ემორის სამედიცინო სკოლის პროფესორები უშუალოდ არიან ჩართული სტუდენტების კარიერული წინსვლისთვის მზადების პროცესში.

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს, დიპლომამდელი განათლება მიიღოს საერთაშორისო გარემოში: კვსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებსა და სასწავლო ბაზებზე დაესწროს უცხოეთის წამყვანი სამედიცინო სკოლების პროფესორთა ლექციებს, მასტერ-კლასებს, შემოვლებს, ოპერაციებს. ასევე, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით, მათ საშუალება მიეცემათ სასწავლო კურსის გარკვეული ნაწილი გაიარონ უცხოეთის წამყვან სამედიცინო სკოლებში. ემორის სამედიცინო სკოლასთან ურთიერთობა უდიდეს გამოცდილებასთან ერთად კარიერული განვითარების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირების ფართო ასპარეზს აძლევს, ამასთან, ხელს უწყობს მათ კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებას როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა

პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: სილაბუსით; სალექციო კურსებით, ძირითადი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით, სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით, სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებითა და აუდიო-/ ვიდეო მასალებით.

ბიბლიოთეკას აქვს ავტომატიზებული სისტემა Koha წვდომა ისეთ მონაცემთა ბაზებთან, როგორცაა: Questia, MedicineNet, MedPix, EMedicine; British Medical Journal (BMJ); WHO-ს პროგრამის Research4life-ის ფარგლებში აქვს წვდომა Hinary, Agora, Oare and და Ardi ARDI-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან. რუსთაველის სამეცნიერო ფონდით უზრუნველყოფილია Elsevier-ის ელექტრონულ ბაზებზე - ScienceDirect და Scopus-ზე თავისუფალი წვდომა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული წიგნების საკუთარი ბაზა, სადაც განთავსებულია სხვა ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული წიგნების ელექტრონული ვერსიები.

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

პროგრამის სასწავლო, კლინიკური და კვლევითი აქტივობები ხორციელდება კვსუ-ის სასწავლო /კლინიკურ აუდიტორიებსა/ლაბორატორიებსა და უნივერსიტეტთან ხელშეკრულების/ მემორანდუმის მქონე კლინიკებში/დაწესებულებებში:

- შპს "აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა"
- შპს ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი
- შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი
- შპს აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი
- შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი
- შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი
- შპს "ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა"
- შ.პ.ს. ჰელსი ბეიბი მედი
- შპს „მალალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა"
- შპს „მედექსი"
- შპს კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა
- შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"
- ს.ს. საჩხერის რაიონული საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება
- შპს "ელიავას საერთაშორისო ფაგოთერაპიული ცენტრი"
- შპს. ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი, ჯაფარიძე - ქევანიშვილის კლინიკა
- შპს „პედიატრიული ქირურგიის ცენტრი"
- შპს „ტესტ-ლაბორატორია"
- სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
- შპს "პინეო სამედიცინო ეკოსისტემა"
- შპს თიმი - თბილისის მედიცინის ინსტიტუტი

- სს „ჯერარს“
- შპს ინოვა
- შპს ი.ჟორდანიას სახელობის კლინიკა
- შპს ჟორდანია - ჩიქოვანის კლინიკა
- შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო
- შპს კანი
- შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი
- შპს ბოხუას სახელობის კარდიოვასკულური ცენტრი

უნივერსიტეტში შექმნილია უსაფრთხო გარემო სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობისათვის.

შენობებში მოწყობილია თეორიული სწავლების აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, არქივი, სივრცეები დიაგნოსტიკისათვის, საოპერაციოები, პალატები. განახლდა და განვითარდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით, კონდიციონერ-გათბობა-ვენტილაციის თანამედროვე სისტემით.

კვსუ-ში არსებული გარემო, დღეის მდგომარეობით, ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტში მათთვის მოწყობილია ლიფტები, პანდუსები, სველი წერტილები (ტუალეტი), და ა.შ. შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად შესაძლებელია შენობამდე მიღწევა.

უნივერსიტეტი ფლობს მაღალი დონის, თანამედროვე ინფრასტრუქტურას, შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის და ყოველმხრივ მოსახერხებელია როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსები, მათ შორის აღსანიშნავია კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ინფორმაციული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი).

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა

პროგრამის კურსდამთავრებულის - დიპლომირებული სტომატოლოგის - დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის შესაძლებლობა რეგულირდება დამსაქმებელი მხარის შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის უფლება.

დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, ან გაიაროს პროფესიული მომზადების სპეციალური კურსი (რეზიდენტურა).

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის (საფუძველი: საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი - მუხლი 17) შესაბამისად, ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს, დიპლომირებულ სტომატოლოგს შეუძლია:

ა) გაიაროს უმაღლესისშემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;

ბ) განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.